# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 დეკემბერი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 239 (10 158) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## პროგრამის პროექტი

**საქართველოში,** როგორც ამ რამდენიმე თვის წინ ვიუწყებოდით, დაიწყო ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. პროექტზე მუშაობა დამთავრდა. ეს გახლავთ ვრცელი დოკუმენტი, რომელშიაც სპეციალისტების აზრით, სრულად აისახა ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური როლისა და მნიშვნელობის ამაღლების უზრუნველყოფის წინადადებები, ჩვენი ცალკეული რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების, კოლექტივების, სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავარაუდო წვლილი და ინიციატივა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელზედაც განიხილეს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის პროექტის მთლიანი შინაარსი და იმსჯელეს ინსტანციური წესით და საჯაროობის გზით მისი შემდგომი განხილვის საკითხზე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ნ. საჯაიამ.

## დავფიქრდეთ და... ვიმოქმედოთ!

**„მასობრიობიდან–ოსტატობისაკენ!“ — დიდხანს, ძალიან დიდხანს, ვიყენებდით ამ ლოზუნგს, იმისათვის, რომ სპორტულ სინამდვილის ელფერი მისცემოდა. სინამდვილეში კი, სინამდვილეში ეს იყო ჩვენი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი კლასიკური ნიმუში, როცა სიტყვასა და საქმეს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.**

**მთელს საბჭოთა კავშირში გრანდიოზული სპორტული ინდუსტრია ემსახურებოდა მხოლოდ ერთ მიზანს — მაღალ სპორტულ შედეგებს. ფიზკულტურა, მასობრივი სპორტი მდორედ, თვითდინებით თუ იკვლევდა გზას, რამაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. საქმეს არც დღეს უჩანს სასიკეთო პირი.**

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, ციმბირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის განყოფილების ბიუროს თავმჯდომარეს ს. კოლესნიკოვს:

● **ხერგი ივანეს ძევ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტი, რომელშიც თქვენ მუშაობთ, ცნობილია, როგორც ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი. როგორ ფიქრობთ, შემოგვრჩა რაიმე დასაცავი?**

აი პასუხიც:

— მართლაც, შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობიდან აღარაფერი დარჩა. ჩვენს ქვეყანაში დაავადებათა დონე ძალიან გაიზარდა, საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 5-10 წელით ნაკლებია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, ბავშვთა სიკვდილიანობა კი 4-5-ჯერ მაღალია... სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩვენში ჯანმრთელობის დაცვაზე იხარჯება 2,8 პროცენტი, გდრ-ში ეს მაჩვენებელი 5,5, ხოლო აშშ-ში 10,8 პროცენტს უტოლდება.

დავფიქრდეთ და... ვიმოქმედოთ!

## ცხადდება კონკურსი

### ვინ შექმნის „მართვეს“ ემბლემას?

„ლელოს“ მკითხველებისთვის ცნობილია რომ, ამას წინათ, 5 დეკემბერს ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ პლენუმი, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საზოგადოებისათვის სახელწოდების შეცვლის საკითხი. პლენუმის გადაწყვეტილებით საზოგადოებას ეწოდა „მართვე“.

სახალხო განათლების სამინისტრომ გვაცნობა, რომ ცხადდება კონკურსი საზოგადოების ემბლემისა და სამკერდე ნიშნის შექმნაზე. საკონკურსო ნამუშევრები უნდა ჩაბარდეს 1990 წლის 10 თებერვლამდე სახალხო განათლების სამინისტროში (კამოს ქ. № 52, 24 ოთახი).

დაწესებულია პრემიები:

I პრემია — 300 მანეთი;

II პრემია — 2[illegible] მან;

III პრემია — [illegible]

საკონკურსო ნამუშევრებს გამოფენენ სახალხო განათლების სამინისტროს საქტო დარბაზში.

პრემირებულ ნამუშევრებს სახალხო განათლების სამინისტროში შექმნილი საგანგებო ჟიური გამოავლენს.

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ჭაბუკ მოკრივეთა VIII ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე.

იხ. მე-4 გვ.



## მაინც გაიმარჯვეს

**ჩვენი** ძიუდოისტებისგან ყველა შეჯიბრებაზე მხოლოდ გამარჯვებას ველით. ამჯერადაც სასიამოვნო ცნობა გვინდა მოგაწოდოთ: ახლახან ჩატარებულ შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში ჩვენი ორი გუნდი ასპარეზობდა (ქალთა და ვაჟთა), სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟები შესუსტებული შემადგენლობით იყვნენ, (ტატამზე არ გამოვიდნენ ამირან ტოტიკაშვილი და გიორგი თენაძე), გუნდური ჩემპიონობა მაინც მოიპოვეს.

პირად პირველობაში გამარჯვება ხვდა **ბათო ჯიქურს,** რომელიც 71 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, II ადგილები დაიკავეს **კახა ქურასბედიანმა** (60 კგ), **გურამ მოდებაძემ** (65 კგ) და **ანზორ თენაძემ** (86 კგ), III ადგილები — **მ. კეჟერაშვილმა** (60 კგ) და **ზურაბ ონიანმა** (78 კგ).

ჩემპიონატიდან არც ჩვენი გოგონები დაბრუნებულან ხელცარიელები. სამმა სპორტსმენმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გუნდურ ჩათვლაში კი VII ადგილზე გავიდნენ. საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს **რუსუდან კუპატაძემ** (48 კგ), **ნონა ხუარიშვილმა** (58 კგ) და **მაია გობეჯიშვილმა** (61 კგ).

„ლელოს“ კორ.

## ჩვიდმეტი ფინალისტი

**ერთბაშად** ოთხ ქალაქში მიმდინარეობდა საკავშირო ზონალური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც სპორტსმენები სსრკ ჩემპიონატის საგზურებისთვის იბრძოდნენ. ოთხივე ქვეჯგუფში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას 27 მოჭიდავე იცავდა. წინასწარ ვიტყვით, რომ დასახულ მიზანს მათ წარმატებით გაართვეს თავი და 15 მათგანმა მოიპოვა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება. ჩვენმა ფალავნებმა განსაკუთრებით კიშინიოვში იასპარეზეს წარმატებით, სადაც ხუთი მოჭიდავე გახდა გამარჯვებული და ერთმაც მეორე ადგილი დაიკავა.

პირველ ადგილზე არიან: გელა პაპაშვილი (48 კგ), ვასილ ონიანი (68 კგ), ჯემალ ბაკურიძე (82 კგ), ზაურ ივანიშვილი (100 კგ) და გოგი კოღუაშვილი (90 კგ). ზაურ ცხადაძე, რომელიც მძიმე წონაში ასპარეზობდა, მეორე ადგილზე გავიდა.

ასევე წარმატებით იასპარეზა კოტე გულიაშვილმა (62 კგ) მოსკოვში, სადაც მან პირველი ადგილი დაისაკუთრა. დავით ქარსელაძეს (82 კგ) და ნაიბი დვალიძეს (100 კგ) მეორე ადგილები ხვდათ წილად.

პირველი ადგილი დაიკავა მარიუპოლში თენგიზ თევდორაძემ (100 კგ), გიორგი ადეიშვილი (74 კგ) და გია ჩაკვეტაძე (82 კგ) მეორე ადგილებზე გავიდნენ, ხოლო რამაზ გადაბაძე (90 კგ) მესამე ადგილს დასჯერდა. ორი მესამე ადგილი დაიკავეს ქალაქ კიროვში გოჩა ბანძელაძემ (100 კგ) და ზაზა ჩაკვეტაძემ (57 კგ).

როგორც ხედავთ, ქართველმა ფალავნებმა დაიკავეს შვიდი პირველი, ხუთი მეორე და სამი მესამე ადგილი. ყველა ეს მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ 1990 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში. მათ გარდა იქ იასპარეზებენ გურამ გედეხაური და ბეგი დარჩია — ქვეყნის ნაკრების წევრები. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი ჩემპიონატის ფინალში ჩვენი 12 მოჭიდავე გამოდიოდა, მომავალში კი, როგორც ხედავთ, 17 იასპარეზებს.

**ბია ბურდული.**

## გუშინ...

**საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა დაამარცხეს ვილნიუსის „სტატიბა“ 86:74 (39:33).**

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**პარასკევს, 15 დეკემბერს, 17 საათზე კინოს სახლში სპორტული ჟურნალისტებისთვის უჩვენებენ ა. ელენტის დოკუმენტურ მცირემეტრაჟიან ფილმს „გვჭირდება თუ არა სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?“**

**ფილმის ჩვენების შემდეგ ჩატარდება სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის სხდომა.**



**გიორგი ეგნატაშვილის** სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ცალკეულ იარაღებზე და რესპუბლიკის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრება 17 დეკემბრამდე გასტანს.

**სურათზე: ასპარეზობს ოსტატობის კანდიდატი გენადი სურმანიძე.**

## SOS

**ეს უკვე მერამდენედ ვწერთ თბილისის სარეკლამო-სპორტულ სტენდებზე. არა, საქმე მხოლოდ ამ სტენდების უსახურობა და, პირდაპირ ვთქვათ, მათზე გამოკრული აფიშების სიგონჯე როდია. კვლავ და კვლავ უმოწყალოდ მახინჯდება ქართული ენა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს არავის არაფერი ხმენია ქართული ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობაზე, თითქოს საქართველოში, მის დედაქალაქში ქართული ენის მცოდნე და ქართული შრიფტის მომხაზველი მხატვრები აღარ გვყავს.**

**რას მივაწეროთ ასეთი სიჯიუტე?**

**ეს აფიშა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაა გამოკრული, ზემოთქმულის დასტურად მოვიტანეთ. ვიმეორებთ, ეს ყველაფერი ხდება თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ და არა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ან მის რომელიმე რეგიონში, სადაც მიზეზთა და მიზეზთა გამო შეიძლება სიმახინჯე გაამართლო.**



საკავშირო თასის გათამაშება და ქვეყნის ჩემპიონატი (ცალკეულ მოძრაობებში) ძალოსნობაში

# სხვა ვითომ დაიჯერებს?...

**ჩვენი ძალოსნები, განსხვავებით შარშანდელი შეჯიბრებისგან, რომელშიც საკავშირო სპორტსაზოგადოების სახელით გამოდიოდნენ, წელს რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ. გასული შეჯიბრების შედეგების მიხედვით დებულების თანახმად, მოსკოვში ხუთი ქართველი ძალოსანი გაემგზავრა.**

**56 კგ წონითს** კატეგორიაში ასპარეზობდა ქუთაისელი პაატა ტყემალაძე (მწვრთნელები ბადრი პაპიძე და ამირან ჰიტაძე). 19 წლის ძალოსანი ყველაზე უმცროსი გახლდათ, არა მარტო თავის წონაში, არამედ, საერთოდ, შეჯიბრების მონაწილეთა შორისაც. მიუხედავად ამისა, მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა VI ადგილი ხვდა. ორჭიდის ჯამით (210 კგ.) მან წლეულს მეორედ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. აღსანიშნავია, რომ პაატა ხუთჯერ გამოვიდა ფიცარნაგზე და შტანგა ყველა ცდაზე დაძლია.

**75 კგ წონითს** კატეგორიაში, რომელშიც ყველაზე მეტი — 21 ძალოსანი გამოდიოდა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა ბიძინა მიქიაშვილმა (მწვრთნელი შოთა წერეთელი) XII ადგილი დაიკავა. ბიძინა ჩვენი ნაკრების ყველაზე სტაბილური ძალოსანია. წლეულს მან მეხუთედ გაიმეორა თავისი საუკეთესო მაჩვენებელი (140-180-120 კგ). მაგრამ, ჩვენი აზრით, თბილისელმა სპორტსმენმა და მისმა მწვრთნელმა უფრო მაღალ შედეგებზე უნდა იფიქრონ. ბიძინას თამამად შეუძლია უფრო დიდ წონაზეც მიიტანოს იერიში.

**90 კგ.** ამ წონაში კახი კახიაშვილი ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ არც სპორტსმენი, არც მისი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი იოლი გამარჯვების ილუზიას არ შეუპყრია. არ შეუპყრია ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ ამ შეჯიბრებაში ქართველი ძალოსნის მეტოქეები იყვნენ რუსეთის ფედერაციის გუნდის ლიდერი ვიაჩესლავ რუბინი და უკრაინელთა ფავორიტი სერგეი გორილოვი.

კახიმ პირველ და მეორე ცდაზე თავისუფლად დაძლია 172,5 და 177,5 კილოგრამი, შემდეგ კი იერიში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის იური ზახარევიჩის მიერ 1983 წელს დამყარებულ იუნიორთა მსოფლიო რეკორდზე (185 კგ) მიიტანა.

რა იყო ეს — რისკი თუ თავდაჯერებულობა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სჯობს საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ამირან ჰიტაძეს მივცეთ სიტყვა.

— ვანო გრიქუროვი კახის ინდივიდუალური გეგმით ავარჯიშებს. როგორც მწვრთნელი ფიქრობდა, მოსკოვში მას ორჭიდის ჯამში 410 კილოგრამი უნდა ეჩვენებინა. აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ ცხინვალელმა ათლეტმა ზახარევიჩის რეკორდი მაისში, საკავშირო შეკრებაზე (მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ) „დალაშქრა". თუკი მოსკოვში სარეკორდო წონას ვერ დაძლევდა, აკვრა მისი კოზირი იყო და დანაკარგს აქ აანაზღაურებდა. ერთი სიტყვით, ოსტატმა და შეგირდმა გადაწყვიტეს ორი კურდღელი დაეჭირათ. სამწუხაროდ, პირველი „მიზანი" ხელიდან გაუსხლტათ — კახიმ წონის დაფიქსირება ვერ შეძლო. ამ მოძრაობაში გაიმარჯვა რუბინმა — 180 კილოგრამი. კახი მეორე ადგილზე გავიდა. აკვრა კახიმ ყველაზე მაღალი წონით — 222,5 კილოგრამით დაიწყო და ასწია. ამ მოძრაობაში მისმა ძირითადმა მეტოქემ გორილოვმა 220 კილოგრამი აჰკრა, შემდეგ კი 225 კილოგრამიც დაძლია. კახიმ 227,5 შეუკვეთა, მაგრამ... როდესაც მკერდზე ატანილი შტანგით დგებოდა, ფეხის კუნთი დაიზიანა და ხელი მოეცარა. მესამე ცდაზე გორილოვმა 230 კილოგრამი დაძლია. კახის გამარჯვებისთვის იგივე წონა უნდა აეწია, რადგან იგი მეტოქეზე 230 გრამით მეტს იწონიდა. სამწუხაროდ, ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და სპორტსმენს მთელი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალება არ მისცა. **კახი ორჭიდის ჯამში მეორე ადგილს დასჯერდა.** მართალია, გორილოვმა კახიაშვილზე ხუთი წლით უფროსია, მაგრამ კახის დამარცხება ამ შემთხვევაში უიღბლობას უნდა მივაწეროთ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძალოსანი წელიწადში ორჯერ აღწევს თავისი სპორტული ფორმის პიკს. კახის ასეთი „მწვერვალი" უკვე ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატზე და ევროპის პირველობაზე. გარდა ამისა, ახალგაზრდულ თამაშებში მან ვერცხლის მედალიც მოიპოვა. ასე რომ, წლეულს მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ამჟამად კახი ემზადება თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც მარტში გაიმართება.

**110 კგ-ს** ზევით წონითს კატეგორიაში მწვრთნელ შოთა წერეთლის აღზრდილმა კობა ტალახაძემ ორჭიდის ჯამში 385 კგ (175-210) დააგროვა, IV ადგილი დაიკავა და თავისი ძველი შედეგი (1987 წ.) გაიმეორა.

**მძიმე წონაში** საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებმა გუნდის ინტერესებისთვის სარბიელზე გამოიყვანეს უფრო დაბალი წონითი კატეგორიის ათლეტი გრიგოლ ჩუბინიძე (მწვრთნელები გოგი თოდაძე და ამირან ჰიტაძე). ამ სპორტსმენის შედეგზე იყო დამოკიდებული, დაიკავებდა თუ არა ჩვენი გუნდი დაგეგმილ გუნდურ VIII ადგილს. სამწუხაროდ, გრიგოლი ატაცში 170 კგ-ის დაძლევის ცდისას დაშავდა, შეჯიბრებას გამოეთიშა და ნული ქულით დაასრულა ასპარეზობა. ამის გამო ჩვენი გუნდი X ადგილზე დარჩა. ვფიქრობთ, მწვრთნელები აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. ჩვენი მხრიდან კი რიტორიკული შეკითხვა გვინდა დავსვათ; აი, მერვე ადგილი რომ დაგვეკავებინა, კმაყოფილი უნდა დავრჩენილიყავით თუ არა? თურმე ნუ იტყვით და, კი! რადგან თავს ზემოთ ძალა არ არის. ყველა რესპუბლიკას, რომელიც საერთო შედეგების მიხედვით ჩვენს წინაა (რვა გუნდს შორის), სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის შეუდარებლად უკეთესი პირობები აქვს. საორიენტაციოდ ავიღოთ თუნდაც ჩვენი უშუალო კონკურენტი ყაზახეთი, რომლის წარმომადგენლებმაც მოსკოვში VII გუნდური ადგილი დაიკავეს. ამჟამად იქ ძალოსნობის 82 (!) დარბაზია, მარტო ალმა-ათაში — 30, ანუ იმდენი, რამდენიც მთლიანად საქართველოში. თუმცა ამ ქალაქის მოსახლეობა თბილისისას არ აღემატება. რაც შეეხება მწვრთნელებს, აქაც ცუდადაა საქმე. რით გავამართლოთ ის, რომ საწვრთნელ ბაზებზე აღარაფერს ვამბობთ, გვაკლია კვალიფიციურ მწვრთნელთა კადრები? ჩვენს მოზარდებს ნიჭი არ აკლიათ, მაგრამ, სკოლას რომ ამთავრებენ, მათი შემდგომი დაოსტატება ფერხდება. მწვრთნელები, რომლებსაც „არითმეტიკის" ცოდნა აქვთ, თავიანთ შეგირდებს „უმაღლეს მათემატიკას" ვეღარ ასწავლიან, „საშუალო" ძალოსნები კი ვარჯიშს თანდათან ანებებენ თავს.

• • •

მოდით, ახლა ერთი წუთით შევიხედოთ ჩვენი ძალოსნების მთავარ ბაზაში — სპორტსახკომის ცენტრალურ სასწავლო-საწვრთნელ კომპლექსში. „ერთი წუთი" შემთხვევით არ გვითქვამს — იქ უფრო დიდხანს გაჩერება შეუძლებელია, თუ ყინვა-სიცივეს გვარიანად არა ხარ შეჩვეული. რადიატორს რომ ხელი დავადე და „ცივად" გამოვწიე, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა შოთა წერეთელმა დარწმუნება დამიწყო, თბილიაო. სიმართლის დასამტკიცებლად მწვრთნელმა შტანგის ღერძზე მომაკიდებინა ხელი, მაშინ კი დავრწმუნდი, რომ რადიატორი შტანგასთან შედარებით მართლაც თბილი იყო. ასეთ პირობებში ვარჯიში აუტანელი კი არა, შეუძლებელი რომ არის, ამის მისახვედრად სპორტის ნიუანსების ცოდნა სულაც არაა საჭირო (გაციებული კუნთი ხომ პირველი მიზეზია ტრავმებისა). აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ წვიმის დროს ბეტონის სახურავიდან (ზოგან, ცხადია) წვიმა ისეთივე ინტენსივობით ჩამოდის, როგორითაც გარეთ, ვიცი, ამ კრიტიკულ შენიშვნას ოპონენტებიც ეყოლება — მიიხედ-მოიხედე რესპუბლიკაში, რა მდგომარეობაა გათბობის მხრივ, შენი შტანგით კიდევ უფრო ნუ ამძიმებ სიტუაციას. ეს რომ მარტო წლეულს ყოფილიყო, ვინ ამოიღებდა ხმას, მაგრამ 19 წელია დარბაზის დაარსების დღიდან აქ ასეთი მდგომარეობაა, ცხადია, მეტ-ნაკლებად. ახლა, რომ ავდგე და ეს ყველაფერი ვინმე უფრო უცხოს ვუამბო, ვითომ დამიჯერებს?

**ჯემალ კასრაძე.**





**სურათებზე:** მარცხნიდან — წყალგამტარი ჭერი; ნაჩუქარი ყველაფერი კარგია, განსაკუთრებით ასეთი ელექტროღუმელი, მაგრამ თუ იგი გამოუსადეგარია?

---

ალტერნატივა? — მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

## სანამ გვიან არ არის...

**შესაძლოა** ეს წერილი არც კი დამიბეჭდოთ, მაგრამ მეტი ვეღარ მოვითმინე და გადავწყვიტე ჩავება დისკუსიაში. წინასწარ ბოდიშის მოხდით მინდა განვაცხადო, რომ ჩემი წერილის ტონი მეტისმეტად მკაცრი იქნება, როგორც გაზეთ „ლელოს", ისე რესპუბლიკის სპორტსახკომისა და ზოგიერთი პიროვნების მიმართ. წერილის დაბეჭდვა-არდაბეჭდვის გადაწყვეტილება თქვენზე იყოს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, „ლელომ" გამოაქვეყნა კინორეჟისორ ალექსანდრე ქღენტის წერილი — „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში", რასაც მოჰყვა მკითხველთა უამრავი გამოხმაურება. დისკუსიის შეჯამებისას რედაქციამ სთხოვა ფეხბურთის სპეციალისტებს, ვეტერან ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ყველას, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ფეხბურთის ბედი, გამოხმაურებოდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ სპეციალისტებმა ჩაიგუბეს პირში წყალი.

არ გაუვლია ცოტა ხანს და რესპუბლიკის სპორტსახკომის თაოსნობით „ლელომ" წამოიწყო ახალი დისპუტი ფეხბურთში, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე. გაზეთმა მკითხველებს სთხოვა წამოეყენებინათ წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები.

თუ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ, გულშემატკივართა იმ წრეს მივეკუთვნები, რომლებიც ემხრობიან საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ფეხბურთელთა გუნდების მონაწილეობას და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის წინააღმდეგნი არიან.

დარწმუნებული ვარ, ვერ ამაღლდება ქართული ფეხბურთის დონე, თუ მარტო ეროვნული ჩემპიონატით შემოვიფარგლეთ. პირიქით, უფრო დაეცემა და მერე ეს სანანებლად გაგვიხდება, დიდი დრო დაგვჭირდება დაკარგულის ასანაზღაურებლად. ისე, თუ მაინც თქვენსას არ დაიშლით და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას გადაწყვიტავთ, მაშინ მხარს დავუჭერ ქუთაისელი გულშემატკივრის შ. ჩიხლაძის წინადადებას, რომ ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდეს ორ წრედ, საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, გვიან შემოდგომასა და გაზაფხულზე.

კინორეჟისორმა ალექსანდრე ქღენტმა თავის მეორე წერილში წამოაყენა წინადადება საქართველოს ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბების შესახებ. მკითხველებმა აქვე შემოგვთავაზეს მთავარ მწვრთნელად ნოდარ ახალკაცის კანდიდატურა.

საქართელოს ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბების იდეას მთლიანად ვერ გავიზიარებ, რადგანაც, ჩემი აზრით, თბილისის „დინამო" ეს უკვე ეროვნული ნაკრებია და არავითარი ზედმეტი ფაციფუცის ატეხვა საჭირო აღარ არის. ხოლო რაც შეეხება ნოდარ ახალკაცს, მის მიმართ მაქვს გარკვეული აზრი (შესაძლოა მცდარი) როგორც მწვრთნელზე. და ეს აზრი საკმაოდ უარყოფითია...

ბოლოს, დასკვნის სახით მინდა ვთქვა, რომ სანამ წამყვანი სპეციალისტები თავიანთ აზრს არ გამოთქვამენ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების აუცილებლობაზე, მანამდე ნუ ავჩქარდებით, თორემ, ბოლოს გვიანღა იქნება თითზე კბენანი...

**თეიმურაზ მორგოშია.**
**თბილისი.**

## 12-14 გუნდით

**ამას** წინათ, გაზეთ „ლელოში" წავიკითხე მასალა, სადაც ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე გულშემატკივრებს სთხოვთ შეადგინონ პროექტი, თუ როგორ ჩატარდეს ეროვნული ჩემპიონატი. მე გთავაზობთ ჩემს წინადადებას.

ლიგას, რომელშიც ითამაშებენ საქართველოს უძლიერესი გუნდები, უნდა დაერქვას „ეროვნული ლიგა". ეროვნულ ლიგაში შევა 12-14 გუნდი. ესენი იქნებიან — „დინამო" (თბილისი), „გურია" (ლანჩხუთი), „ტორპედო" (ქუთაისი), „დინამო" (ბათუმი), „დინამო" (სოხუმი), „მეტალურგი" (რუსთავი), „კოლხეთი" (ფოთი), „ლოკომოტივი" (სამტრედია), „მერცხალი" (ოზურგეთი), „კოლხეთი" (ხობი), „დილა" (გორი), „შევარდენი" (თბილისი), „შადრევანი" (წყალტუბო), ომც (თბილისი).

სხვა ლიგას უნდა დაერქვას პირველი ლიგა, ან სარეზერვო ლიგა, რომელშიც თავს მოიყრიან საქართველოს ახლანდელ პირველობაზე მოთამაშე გუნდები. მათი რიცხვი უნდა იყოს 18 ან 20. ეროვნულ ლიგაში ბოლო ადგილზე გასული და დაბალ ლიგაში პირველ ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად შეცვლიან ადგილებს. ამასთან, თამაშები უნდა ჩატარდეს ორ წრედ — შინ და სტუმრად. ჩემი აზრით ჩემპიონატი უნდა გაიმართოს წელიწადში ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

**ზ. ბერმისაშვილი,**
**თბილისი.**

## ამას პატრიოტიზმი გვკარნახობს?

**დღეს** რომ ქართველები იბრძვიან (ვისაც როგორ შეუძლია) დამოუკიდებლობისათვის, ყველასათვის ცნობილია. იქნებ ამან განაპირობა ეროვნული ჩემპიონატის იდეაც ფეხბურთში. მაპატიონ, მაგრამ ვერ მივემხრობი ამ იდეების მქადაგებელ პატრიოტებს (ბოლო სიტყვა იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით).

ალბათ ყველა დამეთანხმება: დღიდან თბილისის „დინამოს" ჩამოყალიბებისა, მის რიგებში იწვევენ გამორჩეულად პერსპექტიულ და ტექნიკურ ფეხბურთელებს საქართველოს ყველა კუთხიდან. შემდეგ კი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, ანაწილებენ რესპუბლიკის მოწინავე გუნდებში (ლანჩხუთში, ბათუმში, ქუთაისში), ე. ი. თბილისის „დინამო" ფაქტიურად წარმოადგენს რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ძირითად ბაზას.

ახლა გეკითხებით, როგორ ჩავატაროთ რესპუბლიკის ჩემპიონატი? თუ ისე ჩავატარებთ, როგორც ეს ზოგიერთს (მე მგონი, მცირე ნაწილს) სურს, მაშინ მოგვიწევს მედლების წინასწარ დარიგება შემდეგნაირად: „ოქრო" — თბილისის „დინამოს", ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები — ლანჩხუთის, ბათუმის, ქუთაისის ან შესაძლებელია სოხუმის გუნდებს (თანმიმდევრობა პირობითია). სხვები, ვფიქრობ, სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ ამ კოლექტივებს. ახლა ისიც ვთქვათ, რა პირობა არსებობს ამ შემთხვევაში თამაშის კლასის ამაღლებისა? ის, რომ ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდებათ ზემოდასახელებულ გუნდებს? იქნებ მოვახდინოთ ამ პერსპექტიული ფეხბურთელების გადანაწილება 12 ან 16 გუნდში. ვითომ ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ჩვენი გუნდები მიაღწევენ დღევანდელი თბილისის „დინამოს" დონეს? აღარაფერს ვამბობ კიევის „დინამოზე", „სპარტაკზე", „დნეპრზე" და სხვა მაღალი კლასის კოლექტივზე. რა თქმა უნდა, ვერა! იქნებ ვინმემ თქვას, დღევანდელი დღით მსჯელობთ და წინ არ იყურებითო. სრულიადაც არა, მე არა მგონია ჩვენს რესპუბლიკაში მომზადდეს იმდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი, რომელიც საკმარისი იქნება 12-16 გუნდისათვის და მათ იქნებათ თუნდაც ჩვენგან დაწუნებული საკავშირო ფეხბურთის დონე.

12 დეკემბრის „ლელოში" ბატონი ჯ. ბაზერაშვილი წერს: „ეროვნული ჩემპიონატის წყალობით გაიზრდება პასუხისმგებლობის გრძნობა და მონდომება". საკვირველია, სად უფრო გაიზრდება, როცა ჩვენი რესპუბლიკის გუნდს ვეჯიბრებით, თუ რუსეთის, უკრაინის, ან რომელიც გნებავთ სხვა რესპუბლიკის უპირველეს კლუბს?!

ერთ რამეში სოლიდური ვარ, რა თქმა უნდა, ძნელია ქვეყნის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ფრენა (მგზავრობა) თამაშის ჩასატარებლად, მსაჯების „შეცდომები", ზოგჯერ მიკერძოებაც „სათბურებში" ქულების დატოვება, მაგრამ [illegible] გვმართებს ვაჟკაც[illegible] გამარჯვებისკენ თუ [illegible] ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა (ისტორიულად მოგვდგამს უთანასწორო ბრძოლები).

ალბათ გამიგებთ რისი თქმაც მინდა. რაც უფრო დიდია და რთული წინააღმდეგობა, მით მეტი მონდომება გვმართებს მის დასაძლევად და რაც მაღალია მონდომება, მით მეტად მაღლდება ფიზიკური და ტექნიკური მომზადება.

არც ისე დიდი ხანია გასული იმ დიდი წარმატებების შემდეგ, რაც 1977-81 წლებში გვქონდა.

ბოლოს, მაპატიონ პატივცემულმა კაკულიებმა, თუ მე და ალბათ ფეხბურთის სხვა მოყვარულები მეტი ინტერესით და მეტი განცდით ვნახავთ თბილისის „დინამოს" პაექრობას, კიევის „დინამოსთან", ვიდრე ზუგდიდის „დინამოსთან" და სულაც არ ვიგრძნობ „არამტკიცე ქართველად" თავს, მიუხედავად ჩემი ღრმა პატივისცემისა ზუგდიდში მცხოვრები დიდებული ხალხისა.

**ნოდარ ბელიაშვილი.**
**თბილისი.**

სამთო-
სათხილამურო
სპორტი

# კვლავ გუდაური

**ამას წინათ** გუდაურში გამართული სამთო-მოთხილამურეთა პირველი სტარტის შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. ორიოდე დღის წინ აქ ქვეყნის საუკეთესო სლალომისტებმა იასპარეზეს „თბილისის თასზე".

ამჯერად უძლიერესი იყო წალვერელი სპორტის ოსტატი გია ორჯონიკიძე. ორი ცდის ჯამში მისი შედეგია 1 წუთი და 25,24 წამი. II ადგილზე გავიდა მესტიელი მალხაზ უდესიანი — 1.26,14, III — ლვოველი ვიტალი მიცაკი — 1.26,46. ბაკურიანელი ლევან აბრამიშვილი ახლა VI იყო — 1.26,99, თბილისელებმა გურამ ასათიანმა (1.29,21) და პეტრე ცისკარიშვილმა (1.30,79) შესაბამისად VII და IX შედეგები აჩვენეს. მესტიელი გოჩა ჰელიძე XI ადგილზე გავიდა — 1.30,89.

მსაჯთა შეცდომის გამო (მათ ტრასის ბოლო მონაკვეთზე სწორად არ აღნიშნეს მარშრუტი) შედეგები გიგანტურ სლალომში გააუქმეს. არადა, ამ სახეობაში ჩვენი სამთო-მოთხილამურეები ლიდერობდნენ შეჯიბრებას. მ. უდესიანი, გ. ორჯონიკიძე და მ. დვალიშვილი შესაბამისად I-III ადგილს ინაწილებდნენ.

„ლელოს" კორ.

# კიდევ ორი სტარტი

**სვერდლოვსკში** გაიმართა არმიელ სპორტსმენთა საკავშირო პირველობა საციგაო სპორტში. საუკეთესოდ გამოვიდნენ ბაკურიანელი სპორტსმენები — ძმები კახა და ზაქრო კურტანიძეები, მათ წყვილთა ასპარეზობაში ჩემპიონობა მოიპოვეს და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს. ერთადგილიან ციგებში მეორე შედეგი ჰქონდა ოსტატობის კანდიდატ ზვიად გაგლოევს.

„ლელოს" კორ.

# ნორჩ აკრობატთა წარმატება

**ქალაქ** სნეჩკუსში (ლიტვა) დამთავრდა საბჭოთა კავშირის მოზარდთა პირველობა აკრობატიკაში.

ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა საკავშირო სპორტსაზოგადოებების ჩემპიონატები. „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ასპარეზობაში, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, წარმატებით იასპარეზეს ბათუმელმა მოსწავლეებმა: ნესტან ქათამაძემ (22-ე სკოლა) და მაია ცეცხლაძემ (26-ე სკოლა), მათ წყვილთა შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს და მოიპოვეს საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

და აი, ლიტვაში ქართველმა გოგონებმა კვლავ წარმატებით იასპარეზეს და იქაც მეორე საფეხურზე ავიდნენ. ეს ბათუმელი ნორჩი აკრობატების (მწვრთნელი ნელი აფაქიძე) მნიშვნელოვანი წარმატებაა.

მხტომელ ჭაბუკთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელი მწვრთნელის ალექსანდრე თედეევის შეგირდმა ალექსანდრე კონდრატიევმა.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს" ხაკ. კორ.



# ალაზანზე...

**მართალია**, საქართველოში ზამთარი ცოტა ნაადრევად მოვიდა, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა საწყალოსნო ტურიზმის მოყვარულები და მდინარე ალაზანზე მეორე კატეგორიის სირთულის ლაშქრობა მოაწყვეს. დაშვებაში მონაწილეობდა სპორტსაზოგადოება „მართვეს", თბილისისა და სვერდლოვსკის საქალაქო ტურისტული კლუბების 80 წარმომადგენელი.

საინტერესოა, რომ ამ საწყალოსნო ლაშქრობაში თბილისის მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელები ელგუჯა კენკიშვილი, გელა ჩოხელი, ლევან გოგოლაძე, ირაკლი ჰუმბურიძე, ირაკლი ობელაშვილი და მათი მეგობრები გამოდიოდნენ ნავებით, რომლებიც მათთვის დაამზადეს სვერდლოვსკში.

ისიც საინტერესოა, რომ ალაზანზე მოგზაურობაში მონაწილეობდა სვერდლოვსკელი სპორტის ოსტატების ანდრეი და ტატიანა სერიხების ოჯახი 10 წლის შვილთან, ეკატერინასთან ერთად.

ვიქტორ ბუკიას ტექსტი და ფოტო.

# მოისმინეს ფედერაციის ანგარიში

**გუშინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგა საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის საანგარიშო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ფეხბურთის მწვრთნელები, მსაჯები, საზოგადოებრივი მუშაკები. მოისმინეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობის ანგარიში.

საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა არჩევნები — აირჩიეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის დელეგატები.

# ნახევარფინალში იასპარეზებენ.

ამ დღეებში გლდანის სპორტკომპლექსში რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის განყოფილებამ ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის რესპუბლიკური შესარჩევი ტური, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. თბილისის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელ ჭაბუკთა გუნდები. ამ ტურნირში გამარჯვებული კოლექტივი საკავშირო ნახევარფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას იღებდა. (შეჯიბრება 2-16 იანვარს ჩატარდება ბრესტში).

საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ნორჩი დინამოელი", „ავაზა", 35-ე საფეხბურთო სკოლა, „იბერია", „ლოკომოტივი", „შევარდენი" და დედაქალაქის არმიელთა გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად დაიყვნენ, ორ-ორ გამარჯვებულს უფლება ეძლეოდა ნახევარფინალში გაეგრძელებინა ბრძოლა. პირველ ჯგუფში წარმატებით იასპარეზეს „ლოკომოტივისა" და „ავაზას" აღსაზრდელებმა, ისინი ნახევარფინალებში 35-ე სკოლისა და „ნორჩი დინამოს" კოლექტივებს დაუპირისპირდნენ. პირველ ნახევარფინალში „ლოკომოტივმა" დამატებითი თერთმეტმეტრიანების სერიაში დაამარცხა 35-ე სკოლის გუნდი — 8:7, მეორე ნახევარფინალში კი „დინამომ" ასევე თერთმეტმეტრიანებით — 5:4 სძლია „ავაზას".

ფინალში „ნორჩი დინამოელის" წინააღმდეგ ლოკომოტიველებმა კარგად ითამაშეს და გამარჯვებას მიაღწიეს — 4:1, გამარჯვებული გუნდი ასპარეზობისთვის მოამზადეს ზ. მაღრაძემ და მ. რაზმაძემ (სკოლის დირექტორი — თ. ჯაში).

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**სუარესის ახალი კონტრაქტი**

ესპანელ ექსპერტებს ერთხმად მიაჩნიათ, რომ ლუის სუარესი კარგად უძღვება ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს და პროგრამა მინიმუმიც შეასრულა: მისი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ამიტომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი სუარესთან 1992 წლამდე გააგრძელა.

**მარადონა: „ოლიმპიკთან" მოლაპარაკებას გავაგრძელებ"**

როგორც დიეგო მარადონამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მას გადაწყვეტილი აქვს გააგრძელოს მოლაპარაკება მარსელის „ოლიმპიკში" გადასვლის შესახებ:

— „ოლიმპიკის" პრეზიდენტი მერნარ ტაპი მეტ ხელფასს როდი მპირდება, ვიდრე „ნაპოლიში" მაქვს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მარსელში ჩემს ოჯახს, კერძოდ, ორ ქალიშვილს უკეთესი საცხოვრებელი პირობები ექნება.

**6 თებერვალს „მარაკანაზე"**

როგორც ცნობილია, გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო ნაკრებს გამოეთხოვა, მაგრამ ჯერ კიდევ განაგრძობს გამოსვლას „ფლამენგოში". ახლა მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 6 თებერვალს რიოდე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე უკანასკნელად გამოვა „ფლამენგოს" ფორმით, ამ დღეს „ფლამენგო" შეხვდება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებისგან შედგენილ ნაკრებს.

ზიკომ თავისი კარიერა 1967 წელს დაიწყო, „ფლამენგოს" შემადგენლობაში 721 მატჩი ჩაატარა და 506 გოლი გაიტანა, ეროვნული ნაკრების 88 მატჩში 66 გოლის ავტორი გახდა. შემდეგ იტალიის „უდინეზეში" 79-ჯერ ითამაშა და 57 გოლი გაიტანა.

**რატომ დაატოვებინეს კლუბი**

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ერიკ კანტონა გარიცხულია პირველი დივიზიონის კლუბ „მონპელიეს" შემადგენლობიდან დისციპლინის უხეში დარღვევის გამო, საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი კალენდარული მატჩის დროს კანტონამ თავისივე კლუბის წევრს ხელი გაარტყა.



**ოთხი აზიელი პრეტენდენტი**

ფიფა-მ მიიღო ერთბაშად ოთხი აზიური ქვეყნის თხოვნა მსოფლიოს 2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. ეს ქვეყნებია: იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და საუდის არაბეთი.

**გულშემატკივარი ქალების აზრით**

თავისებური გამოკითხვა მოეწყო ფეხბურთის იტალიელ გულშემატკივარ ქალებს შორის. მათ უნდა დაესახელებინათ ყველაზე ლამაზი მამაკაცი იტალიელ ფეხბურთელთა შორის. ასეთად, ხმების დიდი უმრავლესობით, მიჩნეულია ანტონიო კაბრინი, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი.

**ინციდენტი ზაგრებში**

დიდი აურზაური მოხდა ზაგრებში პირველი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩის დროს „ბორაცთან" შეხვედრისას. მასში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი „დინამოს" 500-ზე მეტმა გულშემატკივარმა. ამის შედეგად 10 კაცი დაიჭრა, 9 დააპატიმრეს. დააკავეს „დინამოს" კაპიტანი და ნაკრების წევრი ბობანი, რომელმაც მუშტი-კრივში მიიღო მონაწილეობა.

**„პანასონიკი" — მარსელელთა სპონსორი**

ცნობილი იაპონური ფირმა „პანასონიკი" საფრანგეთის ჩემპიონ „ოლიმპიკის" (მარსელი) სპონსორი გახდა. მან კლუბს 13 მილიონი დოლარი გადასცა და შემდეგშიც ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

**პიონტეკი მკაცრად გააკრიტიკა**

დანიის ნაკრებისა და „ბარსელონის" თავდამსხმელმა მიხაელ ლაუდრუპმა გამოსცა წიგნი, რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული დანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზეპ პიონტეკის მუშაობის მეთოდი.

როგორც ცნობილია, დანიის ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა.

**დავა გრძელდება**

რუმინელები იმედს არ კარგავენ, რომ შესაძლოა კვლავ შეიყვანონ ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებში ბუქარესტის „სტიაუას" ყოფილი ფეხბურთელი მიოდრაგ ბელოდედიჩი, რომელიც წარმოშობით სერბია და იუგოსლავიაში დარჩა. აი, რა განუცხადა ჟურნალისტებს რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ანჯელესკუმ.

— იუგოსლავიელების საქციელი პირდაპირ გასაოცარია. მათ უნდათ ხელთ იგდონ მსოფლიოში უძლიერესი მცველი, ისე, რომ არც ერთი დოლარი არ გადაიხადონ. მივმართეთ ფიფა-ს, რათა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

# მოკლედ

**დამთავრდა** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველობა მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 გუნდი, ისინი 4 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობისა და საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტების გუნდები. ანგარიშით 10:2 გაიმარჯვეს ვაჭრობის ეკონომიკის და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის ფეხბურთელებმა და გარდამავალ თასსაც დაეპატრონენ.

გოჩა ხარატიშვილი.

**ძველაბაშელებმა ყველას აჯობეს**

დამთავრდა აბაშის პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს გარდამავალი თასის გათამაშება ფეხბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდა რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების 16 გუნდი.

პირველი ადგილი დაიკავა ძველი აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო საწარმოს ფეხბურთელთა გუნდმა, რომელმაც ფინალურ მატჩში დაამარცხა პირველი მაისის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი — 1:0.

• • •

**გაიმარჯვა „ლოკომოტივმა"**

**სამტრედიის** „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სამტრედიის „ლოკომოტივისა" და გორის „დილას"-ს ფეხბურთელები.

შეხვედრა დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 2:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს რ. დვალიშვილმა და დ. ხუჭუამ, ხოლო სტუმართაგან — თ. რამაზაშვილმა.

იორამ ნიკოლეიშვილი.

**არც ერთი!**

ირლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ინგლისელმა ოსტატმა ჯეკი ჩარლტონმა ამას წინათ დაასახელა მსოფლიო პირველობაზე გამგზავრების 22 კანდიდატი. საინტერესოა, რომ მათგან ირლანდიაში მხოლოდ ექვსია დაბადებული, ირლანდიის კლუბებში კი არც ერთი არ თამაშობს.

**დიდი ჯილდოები**

მას შემდეგ, რაც არაბთა გაერთიანებული საემიროების ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, სახელმწიფოს მეთაურმა შეიხ საიდ ბენ სულთან ალ ნახიანმა გადაწყვიტა მეფურად დააჯილდოებინა ფეხბურთელები. ნაკრების თითოეულ წევრს გადაეცა 140 ათასი დოლარი. შესადარებლად ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჰოლანდიის ნაკრების წევრებმა ფინალში გასვლისთვის მიიღეს... 10 ათასი დოლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარსელონისკენ მიმავალი გზა თბილისზე გადის

**იქნებ** სარისკოა, ამთავითვე ჩვენ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე ჭაბუკ მოკრივეთა VIII საერთაშორისო ტურნირის ასეთ რანგში აყვანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის მონაწილეთა ასაკს, და კიდევ იმას, რომ ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა მოკრივეთა უმკაცრესი შერჩევა, სრულიად რეალურია, რომ ამ 16-17 წლის ჭაბუკთა შორის მომავალი ოლიმპიელებიც არიან.

მაგალითად, როცა შარშანდელი ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა საშუალო წონის სურინამული წარმოშობის ჰოლანდიელი მოკრივე რაიმონდ იოფალი მოვიკითხეთ (მან მაშინ მესამე ადგილი მოიპოვა), ნიდერლანდელთა მწვრთნელმა ვანდენ-დრისხენმა თქვა:

— ამ სპორტსმენმა ვერაფრით გამოიჩინა თავი შერჩევით ტურნირში, ჩვენ კი თბილისში ის მოკრივეები ჩამოვიყვანეთ, რომელთაც სერიოზულ მიზნებს ვუსახავთ, რაც პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებთანაა დაკავშირებული.

1992 წლისათვის სერიოზულად ემზადებიან თურქი მოკრივეებიც. მართალია, ისინი ოლიმპიური და მსოფლიო პირველობის მედლებისათვის ბრძოლაში იშვიათად „ჩარეულან“, მაგრამ ახლა განზრახული აქვთ თავიანთი სიტყვა თქვან ესპანეთში (ქვეყნის ნაკრების მოსამზადებლად მთავრობამ სამჯერ მეტი თანხა გამოჰყო). ამ მიზნით სამუშაოდ მიიწვიეს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ლავროვი, რომელმაც სტამბოლში თავი მოუყარა ამ ქვეყნის საუკეთესო ძალებს და მათი პირველი სერიოზული გამოცდა სწორედ თბილისის სარბიელზე მოხდება. რაც შეეხება თბილისის ტურნირის მუდმივ „ბინადართ“ — რუმინელებსა და ბულგარელებს, აგრეთვე კუბელებსა და გდრ-ის სპორტსმენებს, მათ კონკრეტული მიზნები აქვთ და ამთავითვე მთელ რიგ წონებში სხვადასხვა სინჯის მედლების მოპოვებას გეგმავენ.

და ბოლოს, როგორც იცით, თბილისის ტურნირი მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო კავშირის აიბა-ს ეგიდით ეწყობა. შეჯიბრებას ესწრება მისი ტექნიკური დელეგატი რობერ ნიკოლეე, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ამ ტურნირს, როგორც სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მოკრივეთა გამოცდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, დიდად აფასებს აიბა-ს დირექტორატი და იმედოვნებს, რომ იგი კვლავინდებურად მაღალ დონეზე ჩაივლის.

**დილის** შეხვედრებში, რომელიც 48 კგ წონის სპორტსმენთა ბრძოლებით დაიწყო, კუბელმა როლანდო გონსალესმა დაამარცხა თურქი მურატ ტიმირტაში, მესტიელმა რამაზ ფალიანმა კი მოხდენილად სძლია სსრ კავშირის ნაკრების წევრ ზახილ მეხტიევს. გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე ფოთელმა ვასილ აბუსერიძემ, მარატ იბრაჰიმოვმა (სსრ კავშირი, ორივე — 51 კგ), თბილისელმა კახაბერ ბარავიმ, რუმინელმა იონ ტატარუშანმა, ვლადიმერ მიშჩენკომ, ალმატ ხასამეტდინოვმა (ყველა 54, სსრ კავშირის ნაკრები), აგრეთვე ბულიტ ბელასაროვმა, სენაკელმა კახაბერ კაჭარავამ, გარიკ მკრტარიანმა, ვიაჩესლავ მაიზელმა (ყველა — 57 კგ, სსრ კავშირის ნაკრები) და ოლეგ გრილინმა (71 კგ, სსრ კავშირის ნაკრები).

გუშინ გაირკვა, რომ მძიმე წონის ყაზახი მოკრივის ა. მიროშნიჩენკოს ჩამოუსვლელობის გამო აბსოლუტური პირველობის ტურნირში გამოვა 22 წლის ქუთაისელი სპორტსმენი მოსე გოლაძე.

# მეორე ტურის ამბები

**ბაიმართა** კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური ტურნირების მატჩები.

**რამათ-განი** (ისრაელი). ადგილობრივმა „მაკაბიმ“ უმასპინძლა კაუნასის „ჟალგირისს“ და დამარცხდა 90:93 (42:41). ლიტველთაგან ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები იყვნენ: გინტარას ეინიკისი (17 ქულა), გინტარას კრაპიკასი (16) და არუნას ვისოცკასი (15). მასპინძლებში თავი გამოიჩინა ამერიკელმა კენ სიმპსონმა (25 ქულა).

პირველ ჯგუფში მოთამაშე ამ კოლექტივებს 3-3 ქულა აქვთ (ერთი მოგება და ერთი დამარცხება).

**მიულუზი.** საფრანგეთის ამავე სახელწოდების გუნდი ერთი ქულით დამარცხდა სალონიკის (საბერძნეთი) პაოკ-თან 81:82.

**ბელგრადი.** ადგილობრივი „პარტიზანისა“ და მადრიდის „რეალის“ ორთაბრძოლა ტურის ცენტრალური მატჩი იყო. იუგოსლავიელები, რომლებიც კორაჩის თასის მფლობელები არიან, წელს შესუსტებული, შემადგენლობით გამოდიან. როგორც ცნობილია გუნდის ლიდერი ვლადის დივაცი ამერიკაში წავიდა სათამაშოდ, მისი ღირსეული შეცვლა კი ვერ მოიძებნა. „რეალმა“, რომელიც გათამაშების ფავორიტად ითვლება გამოავლინა მაღალი კლასი და გამარჯვებაც მოიპოვა — 105:88. ესპანელთაგან საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ: ანტონიო მარტინი (30 ქულა) და ჰოსე ბირიუკოვი (28 ქულა). მასპინძლებში თავი ივონ ნაკიჩმა გამოიჩინა — 26 ქულა. მეორე ჯგუფში გათამაშებას „რეალი“ ლიდერობს — 4 ქულა (ორიდან ორი გამარჯვება). პაოკ-ი და „პარტიზანი“ 3-3 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. „მიულუზმა“ ორივე შეხვედრა წააგო. მას მხოლოდ 2 ქულა აქვს.

# საპრემიო თანხები

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელმა ჰაინც კადოვმა განაცხადა, რომ ამ ქვეყნის მძლეოსნებმა მიმდინარე სეზონში პრემიის სახით 400 ათასი მარკა (225 ათასი დოლარი) მიიღეს. მისივე აღიარებით არის შესაძლებლობა, რომ ეს თანხა მომავალ წელს სულ ცოტა გაასამმაგდეს მაინც. ამ თემაზე საუბარი გდრ-ში დიდხანს აკრძალული იყო, ამიტომ ზუსტად არავინ იცოდა, როგორი შემოსავალი ჰქონდათ ქვეყნის მძლეოსნებს. არც ის იყო ცნობილი, თუ რა უჯდებოდა მთავრობას მათი შენახვა. ხალხმა მხოლოდ ერთი რამ იცოდა: მძლეოსნობას არასდროს ყოფნიდა მტკიცე ვალუტა.

არა და გაირკვა, რომ იაპონიაში, ესპანეთში, იტალიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში გამართულ ტურნირებში მონაწილეობისთვის გდრ-ს ფაქტიურად ხარჯი არა აქვს, აი შემოსავალი კი — საკმაოდ დიდია.

კადოვის აღიარებით მსოფლიოს რეკორდსმენმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა შუბის ტყორცნაში ქალთა შორის პეტრა ფელკემ მარტო წლევანდელ სეზონში პრემიების სახით მიიღო 30 ათასი დოლარი, მაგრამ გდრ-ში მოქმედი კანონების თანახმად მთელი კონვერტირებული ვალუტა სპორტსმენმა მთავრობას ჩააბარა. ფედერაციის ხელმძღვანელის აზრით ფელკესთვის ამ თანხიდან 10 პროცენტი მაინც უნდა დაეტოვებინათ. იგი ამავე დროს მოითხოვს, რომ თავისი წილი შემოსავალი მძლეოსნების გამოსვლებიდან ფედერაციამაც მიიღოს.

# ნადია კომენეჩი შტატებშია

**როგორც** ცნობილია, მსოფლიო ტანვარჯიშის ყოფილი ვარსკვლავი, რუმინელი ნადია კომენეჩი გაიქცა თავისი სამშობლოდან. მან პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქ, ფლორიდაში აპირებს ცხოვრებას.

კომენეჩი, რომელიც მსოფლიო სარბიელზე გამოჩნდა 14 წლის ასაკში (მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე, 1976 წელს) არაფერს ლაპარაკობს პოლიტიკურ თემაზე და ჟურნალისტებს უკრძალავს ამ საკითხზე საუბარს.

28 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს გაქცევაში ხელს უწყობდა რუმინეთიდან გადმოხვეწილი მეგობარი კონსტანტინე პანიტი, რომელთან ერთად ერთხელ უკვე იყო ფლორიდაში და ეს რეგიონი დაიგულა.

აშშ-ს ტანვარჯიშის ფედერაციას სურვილი აქვს, რომ კომენეჩიმ იმუშაოს მის ყოფილ მწვრთნელთან ბელა კაროლისთან ერთად, რომელიც შტატებში ჯერ კიდევ 1981 წელს დარჩა, მაგრამ თავად სპორტსმენი ასეთ პერსპექტივას არ იზიარებს.

# ხრისტო სტოიჩკოვი: 4 მილიონი დოლარი

**ფრანს** პრესის სააგენტომ ბულგარეთის პრესის მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სოფიის ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდის თავდამსხმელი და ეროვნული ნაკრების კაპიტანი ხრისტო სტოიჩკოვი ამიერიდან ესპანეთის „ბარსელონაში“ ითამაშებს. 23 წლის ფეხბურთელისა და ესპანეთის კლუბის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა და დამთავრდა ხელმოწერით კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც „ბარსელონა“ სტოიჩკოვის გადმოსაყვანად გაიღებს ოთხ მილიონ ამერიკულ დოლარს.

როგორც იტყობინებიან, კონტრაქტი დაიდო ხუთი წლით და ძალაში შევა 1990 წლის 1 ივლისიდან.

# „ლეიკერსის“ კარგი სტარტი

**სადღეისოდ** კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატში ასეთი მდგომარეობაა: წყნარი ოკეანის დივიზიონი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ (10 გამარჯვება), „პორტლენდ თრეილ ბლეიზი“ (10), „სიეტლ სუპერსონიქსი“ (7), „ფენიქს სანზი“ (5), „საკრამენტო კინგზი“ (4), „ლოს-ანჯელეს კლაიპერსი“ (4), „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ (3). შუა დასავლეთის დივიზიონი: „დენვერ ნაგითსი“ (9), „იუტაჰ ჯაზი“ (8), „სან-ანტონიო სპურსი“ (7), „ჰიუსტონ როკეთსი“ (7), „დალას მავერიქსი“ (6), „ჩარლოტ ჰორნესი“ (3), „მინესოტა“ (3), ატლანტიის ოკეანის დივიზიონი: „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი“ (9), „ფილადელფია 76“ (8), „ბოსტონ სელტიქსი“ (8), „ვაშინგტონ ბულეტსი“ (7), „მაიამი ჰიტი“ (4), „ნიუ-ჯერსი ნეთსი“ (3). ცენტრალური დივიზიონი: „დეტროიტ პისტონსი“ (9), „ინდიანა პეიზერსი“ (8), „ჩიკაგო ბულსი“ (8), „ატლანტა ჰოუქსი“ (7), „მილუოკი ბაქსი“ (7), „კლივლენდ კავალიერსი“ (6), „ორლანდო მაჯიკი“ (6).

გაგაცნობთ ნბა-ს ჩემპიონატის მორიგი ტურის შედეგებს: ნიუ-იორკი — ჩარლოტე — 119:108, მილუოკი — ინდიანა — 97:101, უტა — ნიუ-ჯერსი — 105:68, ორლანდო — მაიამი — 104:99, კლივლენდი — ვაშინგტონი — 92:91, ჩიკაგო — ატლანტა 113:98, ჰიუსტონი — ლეიკერსი — 110:104, სან-ანტონიო— სიეტლი 117:104, დენვერი — გოლდენ სტეიტი — 141:120, საკრამენტო — დეტროიტი — 81:93, პორტლენდი — კლიპერსი — 116:94. ნიუ-ჯერსი — ბოსტონი —95:118, ფილადელფია — კლივლენდი — 114:84, ვაშინგტონი — ატლანტა — 104:111, მაიამი — მინესოტა — 100:105, ინდიანა — უტა — 100:88, დალასი — ჩარლოტე — 102:83, ფენიქსი — დეტროიტი — 103:111, კლიპერსი — მილუოკი — 103:117, გოლდენ სტეიტი — ნიუ-იორკი — 111:129.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ტურმა უკონფლიქტოდ, უსენსაციოდ ჩაიარა. მხოლოდ ის იყო, რომ საკუთარ მოედანზე წაიფორხილეს „მილუოკ ბაქსმა“ და „ვაშინგტონ ბულიტსმა“. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს როგორ გამოიყურება „ლოს-ანჯელეს-ლეიკერსი“, როცა იქ არ თამაშობს სახელმოხვეჭილი ქერიმ აბდულ ჯაბარი. ჩემპიონატში გუნდის სტარტს ურიგოს ვერ ვუწოდებთ. 12 მატჩში 10 გამარჯვება.

როგორც ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ, ახლა კალიფორნიელები ცდილობენ უფრო სწრაფად ითამაშონ, ვიდრე ჯაბარის დროს და აქცენტს აკეთებენ „მაჯიკ“ ჯონსონის მაღალ ინდივიდუალურ ოსტატობაზე. მიუხედავად ჯაბარის წასვლისა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ აღმოსავლეთის დივიზიონში კვლავ წამყვან კლუბად რჩება. მეორე საკითხი, რომელიც ასევე ყველას აღელვებდა სეზონის წინ, იყო თუ როგორ ითამაშებს არანაკლებ სახელგანთქმული ლარი ბირდი ერთწლიანი შესვენების შემდეგ. ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი გაეცა „ბოსტონ სელტიქსის“ და „ატლანტა ჰოუქსის“ მატჩმა, რომელიც ცენტრალური ტელევიზიით ვიხილეთ და რომლის მთავარ გმირად სწორედ ლარი ბირდი მოგვევლინა. მან თავის გუნდს შესძინა 50 ქულა, 13-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს და გააკეთა 6 საგოლე გადაცემა. ამერიკელ მიმომხილველებს სრული საფუძველი აქვთ განაცხადონ, რომ „ლარი ბირდის დაბრუნება შედგა“.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით წინა ტურის ზოგიერთ მატჩზე. აქ პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს „ატლანტა ჰოუქსის“ გამარჯვება ნბა-ს ჩემპიონ „დეტროიტ პისტონსთან“ დეტროიტში — 103:96, რასაც დიდად შეუწყო ხელი მოზეს მელოუნის (27 ქულა) და დომინიკ უილკინსის (21) კარგმა თამაშმა. დეტროიტელთა შორის გამოირჩეოდა აიზია თომასი (32 ქულა, 11 საგოლე გადაცემა). რასაკვირველია, მოულოდნელი იყო „ბოსტონ სელტიქსის“ მარცხი საკუთარ მოედანზე „ინდიანა პეიზერსთან“ — 110:118, რაც განპირობებული იყო რეჯი მილერის (30 ქულა) და დეტლეფ შრემფის (20) ჩინებული თამაშით. ინდიანას დაცვამ, როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს, წარმატებით გაართვა თავი ლარი ბირდის (12 ქულა) ნეიტრალიზებას. ყურადღებას იპყრობს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ გამარჯვება „უტაჰ ჯაზთან“. მიუხედავად კარლ მელოუნის (31 ქულა) ძლიერი თამაშისა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ „მაჯიკ“ ჯონსონის (25 ქულა) და ჯეიმზ უორთის (24) მონდომების წყალობით მაინც შესძლო ძლიერი მეტოქის დამარცხება.

**მერაბ კალანდაძე.**

## ინფორმაცია

**ამერიკის** ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის თეთრ ბილიკებზე გრძელდება 1989-1990 წლების მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპი სათხილამურო რბოლაში. არ გამართლდა პროგნოზი საბჭოთა და შვედი მოთხილამურეების ფავორიტობის შესახებ და როგორც ქალთა, ისე ვაჟთა რბოლებში სულ სხვა, მათ შორის არასათხილამურო ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ პირველი დღის გმირები.

ამ დღეს აშკარად არ გაუმართლდა უაღრესად თავშეკავებულ პროგნოზისტებსაც კი. ავიღოთ თუნდაც თვით „თეთრი ბილიკები“! საქმე ისაა, რომ სარბენი ტრასები თოვლის სიმწირის გამო, შავად გამოიყურებოდა და, რომ იტყვიან, აქ თოვლს პეშვით ეზიდებოდნენ... რაც შეეხება თვით რბოლას ქალთა 5-კილომეტრიან სპრინტში პირველობისთვის ბრძოლა უმთავრესად ფინელ და ნორვეგიელ სპორტსმენებს შორის წარიმართა და პირველი ორი ადგილი ათასი ტბის ქვეყნის წარმომადგენლებს ი. სავოლაინენსა (15.59,3) და ტ. პიიკონენს (16.02,3) დარჩათ. მესამე ადგილზე გასულ საბჭოთა მრბოლელ ს. ნაგეიკინას დროა 16.05, 6.

ორი რბოლის შედეგად თასისთვის ბრძოლას 29-29 ქულით სათავეში ჩაუდგნენ ლაზუტინა და ბელმონდო.

რედაქტორი **თ. ბაჩეჩილაძე.**

**„სპორტპროგნოზი“, 52-ე ტირაჟის პროგრამა (22-24 დეკემბერი)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გაზეთ „იზვესტიის“ ტურნირი შაიბიან ჰოკეიში** | | | | | |
| 1. გფრ — ჩეხოსლოვაკია | | 22.XII | 10 | 10 | 80 |
| 2. ფინეთი — შვეცია | | 22.XII | 20 | 20 | 60 |
| 3. კანადა — სსრ კავშირი | | 22.XII | 20 | 20 | 60 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში (უმაღლესი ლიგა, ვაჟები)** | | | | | |
| 4. „ნევა“ (ლენინგრადი) — ცსკა ქ. მინსკში | | 23.XII | 30 | 10 | 60 |
| 5. სკიფ-ი (კრასნოდარი) — „კუნცევო“ (მოსკოვი) ქ. ზაპოროჟიეში | | 23.XII | 40 | 10 | 50 |
| 6. „დინამო“ (ასტრახანი) — „ცელტნიეკსი“ (რიგა) ქ. ზაპოროჟიეში | | 23.XII | 80 | 10 | 10 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 7. „სიბსელმაში“ (ნოვოსიბირსკი) — „ენისეი“ (კრასნოიარსკი) | | 23.XII | 10 | 30 | 60 |
| 8. „იუნოსტი“ (ომსკი) — „საიანი“ (აბაკანი) | | 23.XII | 50 | 20 | 30 |
| 9. „დინამო“ (ალმა-ათა) — ასკ (სვერდლოვსკი) | | 23.XII | 60 | 20 | 20 |
| 10. „კუზბასი“ (კემეროვო) — ასკ (ხაბაროვსკი) | | 24.XII | 20 | 40 | 40 |
| 11. „დინამო“ (მოსკოვი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი) | | 24.XII | 30 | 40 | 30 |
| 12. „სტარტი“ (გორკი) — „სტროიტელი“ (სიქტივკარი) | | 24.XII | 60 | 30 | 10 |
| 13. „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „ვოდნიკი“ (არხანგელსკი) | | 24.XII | 60 | 20 | 20 |



1990 წლის 1-დან 10 იანვრამდე სპორტის სასახლეში ტარდება ზეიმის დღეები საქალაქო საახალწლო ნაძვის ხესთან.

დასაწყისი 10, 13 და 16 საათზე.

მიიღება განაცხადები კოლექტიური დასწრებისათვის.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, ხამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მარაო“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: ხიმშიაშვილის, 20.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 10578